

საჯარო აუქციონში მონაწილეობის მსურველმა პირმა სააუქციონო კომისიის შესაბამის წევრს უნდა წარუდგინოს:

ა) აუქციონში მონაწილეობის შესახებ განაცხადი;

ბ) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს და საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტი (უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს და საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს აუქციონატორის მიერ მითითებულ ანგარიშზე);

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის/პასპორტის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

დ) სანოტარო წესით დამოწმებულ მინდობილობა, თუ საჯარო აუქციონში მონაწილეობის მსურველი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ე) განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედი ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);

- საჯარო აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, რომელსაც სურს, მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის რამდენიმე ქონების პრივატიზებისათვის გამოცხადებულ საჯარო აუქციონში, ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია და საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის თითოეული ქონებისათვის ცალ-ცალკე.

- აუქციონში მონაწილეობის მისაღებად მსურველმა უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს გადახდა უნდა განახორციელოს შემდეგ რეკვიზიტებზე -

ბანკის კოდი: TRESGE22

მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში

შემოსულობების სახაზინო კოდი: 300068800 სხვა დეპოზიტები (ბე-ს ანგარიში)

ხოლო საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდა უნდა განხორციელოს:

ბანკის კოდი: TRESGE22

მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში

შემოსულობების სახაზინო კოდი: 300063282 სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (ბილეთის საფასური)

- აუქციონში მონაწილეობის დამადასტურებელი ბილეთის საფასური შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს.

- უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს მინიმალური მოქმედების ვადა არანაკლებ 30 დღით უნდა აღემატებოდეს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდის ვადას, ხოლო საინვესტიციო ვალდებულების შემთხვევაში - აუქციონის ჩატარებიდან 1 თვის ვადაში პირმა უნდა წარმოადგინოს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 4 თვით უნდა აღემატებოდეს საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას.

- თუ საჯარო აუქციონში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი აკმყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, პირს გადაეცემა საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთი და იძენს საჯარო აუქციონში მონაწილის სტატუსს.

- მონაწილეს უფლება აქვს ბეს/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის დაუკავებლად უარი განაცხადოს საჯარო აუქციონში მონაწილეობაზე, მხოლოდ განცხადების მიღების პერიოდში.

აუქციონთან დაკავშირებით ინფორმაცია ქვეყნდება აუქციონის ჩატარებამდე 30 კალენდარული დღით ადრე, ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოში და ელექტრონულ ვებ-გვერდებზე:

www.eauction.ge და www.rustavi.ge